# ზედიზედ მეოთხედ...

ლ ი უ ბ ლ ი ა ნ ა, 13 მარტი. შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა: საბჭოთა სპორტსმენებს აუცილებლად უნდა მოეგოთ ჩეხოსლოვაკიელთათვის, რათა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გამხდარიყვნენ, მაშინ, როცა მეტოქეებს ფრეც ხელს აძლევდათ. და აი, საბჭოთა ჰოკეისტებმა ისეთი გაფთრებით შეუტიეს, რომ ჩეხოსლოვაკიელებს თავგზა აებნათ. ამას საუცხოო შედეგიც მოჰყვა: თამაშის დაწყებიდან სულ 4 წუთი იყო გასული, რომ ტაბლოზე საბჭოთა გუნდს ციფრი „3" ჰქონდა, ხოლო მათ მეტოქეებს — „0". პერიოდის დასასრულამდე საბჭოთა ჰოკეისტებმა კიდევ ერთი შაიბა გაიტანეს. მატჩის საბოლოო შედეგია 7:1. გამარჯვებულთაგან შაიბების ავტორები არიან. სტარშინოვი (3), ლოკტევი, ალმეტოვი, ფირსოვი, ბრეჟნევი.

ამრიგად, საბჭოთა ჰოკეისტებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა. ბრწყინვალე გამარჯვებაა!

ბოლო ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კანადა — შვეცია 4:2, გდრ — ფინეთი 4:3, აშშ — პოლონეთი 6:4.

საბოლოოდ ცხრილში ადგილები ასე განაწილდა:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 1 | 0 | 55—7 | 13 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 0 | 1 | 32—15 | 12 |
| კანადა | 5 | 0 | 2 | 33—10 | 10 |
| შვეცია | 3 | 1 | 3 | 26—17 | 7 |
| გდრ | 3 | 0 | 4 | 12—30 | 6 |
| აშშ | 2 | 0 | 5 | 18—39 | 4 |
| ფინეთი | 2 | 0 | 5 | 18—43 | 4 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 7 | 11—44 | 0 |

* * *

II ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: გფრ, რუმინეთი, იუგოსლავია, ნორვეგია, ავსტრია, შვეიცარია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 51 (3028)

1966 წ. 15 მარტი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


## „თეთრი სპარტაკიადის" ფინიში

სვერდლოვსკი, 14 მარტი. შეუმჩნევლად გაირბინა თოვლიანი და ყინულოვანი ბატალიების ორმა კვირამ. საერთო-გუნდურ ჩათვლაში, ისევე როგორც ოთხი წლის წინათ, ყველას აჯობეს მოსკოველებმა (90 ქულა). ლენინგრადისა და სვერდლოვსკის ოლქის სპორტსმენებმა 81-81 ქულა დააგროვეს, მაგრამ ვინაიდან ლენინგრადელებს უფრო მეტი I ადგილი ჰქონდათ მოპოვებული, II ადგილი მათ მიეკუთვნათ.

ცენტრალურ სტადიონზე გუშინ ათასობით სვერდლოვსკელმა მოიყარა თავი — ისინი მოვიდნენ სპარტაკიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე. ორკვირიანი ასპარეზობის შედეგები გამოაცხადა ზამთრის II სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ლ. ხომენკოვმა. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა ცენტრალური სპორტკავშირის თავმჯდომარე ი. მაშინი.

## საჭადრაკო მერიდიანებზე

ვრნიაჩკა-ბანია, 14 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გავლილია 5 ტური. წინ არიან ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) და ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) — 3,5-3,5 ქულა. ნ. გაფრინდაშვილს 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ტ. შტადლერთან (იუგოსლავია).

მარ-დელ-პლატა, 14 მარტი. არგენტინის ამ საკურორტო ქალაქში დაიწყო XXVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 ქვეყნის 16 მოჭადრაკე (მათ შორის, 9 დიდოსტატი) მონაწილეობს. I ტურში საბჭოთა დიდოსტატი შტეინი ყაიმზე შეუთანხმდა არგენტინელ ბოლბოჩანს, ხოლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა გადადო პარტია დიდოსტატ ულმანთან (გდრ).

კოპენჰაგენი, 14 მარტი. 1967 წლის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში პერსონალური ადგილისთვის მატჩის I პარტია ე. გელერსა და ბ. ლარსენს შორის განახლების შემდეგ 50-ე სვლაზე ლარსენის გამარჯვებით დასრულდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 1:1.

ვენეცია, 14 მარტი. 7 ქვეყნის 8 მოჭადრაკემ დაიწყო აქ ტრადიციული ტურნირი, რომელშიც რვაწლიანი შესვენების შემდეგ მონაწილეობს საბჭოთა წარმომადგენელი — ამჟამად დიდოსტატი ვ. ანტოშინი (მოსკოვი). I ტურში მან ყაიმით დაამთავრა პარტია იტალიელ ს. ტატაისთან.

## ცსკა — ფინალში!

ბელგრადი, 14 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის გადამწყვეტ ეტაპში შევიდა — ამ დღეებში მილანში დაიწყება 4 უძლიერესი კოლექტივის ფინალური ტურნირი. ამ დასკვნითი ასპარეზობის საგზური მოიპოვა საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდმა — ცსკა-მ, რომელმაც მწვავე ბრძოლაში სძლია იუგოსლავიის „ზადარს" — 87:84.

იმ ნახევარფინალური ჯგუფიდან, რომელშიც მოსკოველები თამაშობდნენ, ფინალში გავიდა აგრეთვე ბულგარეთის „ჩერვენო ზნამია".

## „ვოლოდიევსკის ხმლის" რაინდები

● პ ო ზ ნ ა ნ ი, 14 მარტი. ესპადრონისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ყველა მთავარი პრიზი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. გუნდმა მოიხვეჭა „ვოლოდიევსკის ხმალი". პირად ტურნირში პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის თასზე საბჭოთა მოფარიკავეებს წილად ხვდათ პირველი სამი ადგილი. გაიმარჯვა უ. მავლიხანოვმა, რომელმაც ფინალში სძლია ყველა თავის მეტოქეს — პოლონელებს პიონტკოვსკისა და ოხირას, უნგრელ მორავჩიკს და თანაგუნდელებს — რაკიტასა და რილსკის. 2 უკანასკნელი სპორტსმენი შესაბამისად II-III ადგილებზე გავიდა.

## კეთილი ფეხი და გამარჯვებები

● დენ ბოშე (ჰოლანდია), 14 მარტი. კეთილი ფეხი დაანათლეს აქ გახსნილ საცურაო აუზს სსრ კავშირის, ინგლისის, გფრ-ის, დანიისა და ჰოლანდიის სპორტსმენებმა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში წარმატება წილად ხვდათ საბჭოთა მოცურავეებს. საველიევამ, ბაბანინამ, დევიატოვამ და სოსნოვამ გაიმარჯვეს 4×100 მ კომბინირებულ ესტაფეტაში (4.44,9), 100 და 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი იყო სოსნოვა (1.03,7 და 2.25,2), 400 მ კომპლექსურ ცურვაში ყველას აჯობა დუნაევმა (5.00,9), ხოლო 200 მ ბატერფლაით — კუზმინმა (2.13,1).

200 მ ბრასით ცურვაში გაიმარჯვა ჰოლანდიელმა ბიმოლტმა — 2.50,9. II ადგილზე გასული ბაბანინა მასპინძელს 2 წამით ჩამორჩა.

## ფინელი რაინერ სტენიუსი — ამერიკის ჩემპიონი

● დ ე ტ რ ო ი ტ ი, 14 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა აქ გამართულ ჩემპიონატში სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა... ფინელი რ. სტენიუსი, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობს. რაინერის შედეგია 780 სმ. სიმაღლეზე ხტომაში უძლიერესი იყო ო. ბარელი — 213 სმ. ხის ბილიკზე 400 მ ყველაზე სწრაფად გაირბინეს დ. პეინმა და ბ. კელჰაუნმა — 48,9. ჭოკით მხტომელთა შორის საუკეთესო იყო ბ. ფოსდიკი — 488 სმ, ხოლო ბირთვის კვრაში — ჯ. ვუდიუ — 18,68 მ.

## ეს — 13 500-ანი

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ძალოსანთა პირადგუნდურ პირველობაზე მძიმე წონის სპორტსმენებში გაიმარჯვა სამხედრო მფრინავმა ს. ჩერვიაკოვმა — 502,5 კილოგრამი. ეს შედეგი 2,5 კილოგრამით მძიმეა 1964 წელს რ. შეიერმანის (სვერდლოვსკი) მიერ დამყარებულ საკავშირო რეკორდზე.

ჩერვიაკოვი მე-13 საბჭოთა ძალოსანია, რომელმაც 500-კილოგრამიანი ზღუდე გადალახა. აი „500-ანების" სია: ა. მედვედევი, ი. ვლასოვი, ლ. ჟაბოტინსკი, ვ. ანდრეევი, ვ. პოლიაკოვი, გ. დიაჩენკო, რ. შეიერმანი, ს. ბატიშჩევი, გ. რიაბოკონი, ვ. პონომარენკო, ი. ვილკოვიჩი, ო. კოოლი და ს. ჩერვიაკოვი.

◆ ქ ა ი რ ო, 14 მარტი. დამთავრდა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალურ შეხვედრებში ავსტრალიელმა ქ. ფლეტჩერმა მოუგო ამერიკელ კ. გრებნერს (6:1, 6:1, 6:3), ხოლო შვეციელმა ი. ლუნდკვისტმა — ა. მეტრეველს (7:5, 6:1, 6:2). გ. ბაკშეევასა და ს. ლიხაჩოვის წყვილი დამარცხდა ტურნირის მომავალ გამარჯვებულებთან — ცოლ-ქმარ კლარკ და კეროლ გრებნერების დუეტთან — 4:6, 1:6. ერთეულთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს ჰელგა ნისენმა (გფრ) და ლუნდკვისტმა.

◆ მოსკოვი, 14 მარტი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად დღეს საფრანგეთში გაფრინდა ტაშკენტს გამართული ზამთრის ტურნირის გამარჯვებული — მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი. სპარტაკელებს საფრანგეთში 4 თამაში ექნებათ.

## გუშინ...

თ ბ ი ლ ი ს შ ი, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გაიხსნა საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატი. კენჭისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ოსტატი თ. ლომაია, 2. ს. ჩეჩელიანი, 3. ოსტატი ა. ბუსლაევი, 4. ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, 5. ოსტატი ი. ჩიქოვანი, 6. თ. გიორგაძე, 7. ვ. თოხაძე (ლანჩხუთის რაიონი), 8. ვ. დავითაშვილი, 9. ოსტატი ბ. გურგენიძე, 10. ა. გვენცაძე (ამბროლაური), 11. მ. ჩაგუნავა, 12. ოსტატი ა. ბოკუჩავა, 13. გ. მუკნიაშვილი (გორი), 14. ნანა ალექსანდრია, 15. ა. ჩხაიძე (თეთრი წყარო), 16. ე. უბილავა, 17. ა. რაზოვსკი (ქუთაისი), 18. ლ. კერნოჟიცკი. ჩემპიონატის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი გ. გაჩეჩილაძე.

## ორჯერ 2:0

ლესელიძე, 14 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები. თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჰელიძე, პეტრიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, იამანიძე, მაისურაძე.

მე-5 წუთზე ბარქაიამ გახსნა ანგარიში. მალე თბილისელთა მორიგი იერიში ნახტომში ულამაზესი გოლით დააგვირგვინა ხუციშვილმა.

შესვენების შემდეგ ილიადიმ ვერ გამოიყენა პენალტი.

გაიმარჯვა თბილისის „დინამომ" — 2:0.

* * *

გაგრა, 14 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ქუთაისის „ტორპედო" გუშინ საკონტროლო მატჩში შეხვდა მინსკის „დინამოს". შესვენების შემდეგ ქუთაისელმა კუტივაძემ 2 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და გამარჯვება მოუტანა „ტორპედოს" — 2:0.

## კროსი მძლეოსნური გაზაფხულია

ესენტუკი, 14 მარტი. კარგა ხანია ჩვეულებად იქცა, რომ მძლეოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონთა პირველ ოქროს კროსმენები იხვეჭენ—ისინი გვევლინებიან „სპორტის დედოფლის" სეზონის პირველ მერცხლებად. მძლეოსნური გაზაფხული ამჟერადაც კროსმენებმა მოიყვანეს: გუშინ აქ თავი მოიყარა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 350-მა უძლიერესმა სპორტსმენმა.

მწვანედ აფეთქებულ ძველებურ საკურორტო პარკში ქალებმა საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს: 1000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. მუხანოვამ (2.52,8), ხოლო 2 კილომეტრზე სირბილში ბადალი არ ჰყავდა ლენინგრადელ თ. ბაბინცევას — 6.08,8.

არანაკლებ მწვავედ წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება. 14-კილომეტრიან კროსში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა არმიელმა ნ. დუტოვმა (მოსკოვის ოლქი) — 41.29,7. მაყურებელთა ტაშში მან ეს ჯილდო იქვე გადასცა თავის მწვრთნელს ნ. პუდოვს, რომელმაც წინდღით აღნიშნა დაბადების დღე.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ლ. ივანოვმა (ფრუნზე) — 41.32,2, ხოლო ბრინჯაოსი — ს. ბაიდიუკმა (კიევი) — 41.33,2.

5 კილომეტრზე ვაჟთა რბენა მოიგო კიეველმა ვ. კუდინსკიმ — 14.08,1. II ადგილზეა გ. ხლისტოვი (ლატვია) — 14.11,8, მესამეზე — კ. ორენტასი (ლიტვა) — 14.14,4.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. რსფსრ, II. უკრაინა, III. ლენინგრადი.

# XVII ტრადიციული

ზუგდიდში დაიწყო რაიონის მოსწავლეთა XVII ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამა სპორტის 10 სახეობას მოიცავს. ნორჩების ასპარეზობა 9 მაისამდე გასტანს.

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა აქ მოტანილ სურათებზე სწორედ ამ შეჯიბრებების მომენტები აღბეჭდა, რომლებიც ხელბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა პაექრობაზე მოგვითხრობენ.





# სკკპ XXIII ყრილობას მიეძღვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელს შესანიშნავი სპორტული ტრადიცია აქვს. ამ სასწავლებელმა 1962 წლიდან ზედიზედ ოთხჯერ დაიკავა სსრ კავშირში I ადგილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამას წინათ სასწავლებლის ფიზკულტურელებმა ახალი, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზის გახსნა იზეიმეს. ზეიმს დაემთხვა სასწავლებლის ტრადიციული მე-19 საგაზაფხულო სპარტაკიადა 12 სახეობაში. იგი მიეძღვნა სკკპ XXIII ყრილობას.

საზეიმო განყოფილება შესავალი სიტყვით გახსნა და ახალგაზრდა სპორტსმენებს წარმატება უსურვა სასწავლებლის დირექტორმა გ. გიგოლაშვილმა. შემდეგ სპარტაკიადის მთავარი მსაჯის, ფიზინსტრუქტორ ქ. გირგიტოვის სასტვენის ხმაზე ერთმანეთს შეერკინენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები.

22 საწარმოო ჯგუფი რამდენიმე კვირის განმავლობაში ეცილებოდა ერთმანეთს პირად-გუნდურ პირველობას ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში, ქართულ, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ტყვიით სროლაში, ცურვასა და კროსში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა № 1/2 ჯგუფმა (საწარმოო სწავლების ოსტატი, პირველთანრიგოსანი მოკრივე ქ. უგულავა). II ადგილზე გამოვიდა № 17/18, ხოლო III — № 6 ჯგუფი.

ამას გარდა, სასწავლებლის ტურისტულ სექციას განზრახული აქვს სკკპ XXIII ყრილობას მიუძღვნას III კატეგორიის სიძნელის რვადღიანი ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ფასანაური — ბურსაჭირის უღელტეხილი — ყაზბეგი — როკის უღელტეხილი — ჯავა — თბილისი.

**ს. ელენტი,**
**სასწავლებლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.**

# გულმავიწყობა თუ უპასუხისმგებლობა?

თბილისის მე-20 საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილი დაიწყო: მასწავლებელმა ი. ტერუნაშვილმა ნინოშვილის ქუჩაზე გააჩერა ... ავტომანქანების მოძრაობა(!?). მოსწავლეებმა 800 მეტრი გაირბინეს და, მანქანები კვლავ დაიძრნენ. შემდეგ ბირთვის კვრას შეუდგნენ. გაკვეთილი აგურით, ქვა-ღორღითა და სხვა სამშენებლო ნარჩენებით მოფენილ სკოლის ეზოში გაგრძელდა. იქვე იდგა... სანაგვე ყუთიც.

როგორღა მიმდინარეობს მეცადინეობა სპორტდარბაზში? დაე, ამაზე ერთ-ერთმა მოსწავლემ ილაპარაკოს.

მეათეკლასელი ა. სარქისოვი: „მე მოცურავე ვარ. ახლახან ვიყავი ტალინში საკავშირო შეჯიბრებაზე. იქ რამდენიმე ადგილობრივი სკოლა დავათვალიერე. მართალი ვითხრათ, შემშურდა, ისე ფართო, ნათელი და კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზები აქვთ. ჩვენს ეგრეთწოდებულ „სპორტდარბაზში“ (ფართობი 13×6 მ) კი, როცა სიმაღლეზე ხტომაში ვვარჯიშობთ, გამოსაქანებელი ადგილი აღარ გვრჩება. მოსწავლეებს კიდევ რა გვიჭირს, მაგრამ მასწავლებლებს ყოველდღიურად სულ ცოტა 6 საათი მაინც უხდებათ ამ უვენტილაციო ჯოჯოხეთში ყოფნა“.

ისღა დაგვრჩენია, გავიოცოთ, რომ ასეთ პირობებში აქ ბევრი კარგი სპორტსმენი აღიზარდა: სპორტის ოსტატი სროლაში გ. თავდიდიშვილი, სპორტის ოსტატი ჩოგბურთში პ. აბაშკინი, მძლეოსნები თ. ცინცაძე და ვ. დოლგუშინი, მოჭადრაკე ზ. ჩერმენევა. ნ. ზნამენსკი წარმატებით გამოდის როგორც მძლეოსნობაში, ისე მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ხელბურთში, ხოლო ჭადრაკში I თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. მომზადდა 59 თანრიგოსანი მძლეოსანი, 16-16 თანრიგოსანი — ფრენბურთსა და ხელბურთში, რამდენიმე თანრიგოსანი სროლაში... ადრე სკოლაში 5 სპორტული სექცია მოქმედებდა, ახლა კი მხოლოდ 3 დარჩა: მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და სროლისა. კალათბურთელებმა და ხელბურთელებმა „ვადაზე ადრე“ შეწყვიტეს მეცადინეობა. საქმე ის არის, რომ შარშან 1 მაისის რაიონის სარემონტო კანტორის მუშებმა სკოლის მახლობლად არსებული ბარაკები მოშალეს და სამშენებლო ნარჩენების გატანა დაივიწყეს. ახლა ეს ნაგავი სკოლის ეზოში ყრია და მოსწავლეებს ნორმალური ვარჯიშის საშუალება მოესპოთ.

სკოლის დირექტორმა ვ. ქვილითაიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ სპორტდარბაზის მოწყობას აპირებენ ახალ კორპუსში, რომელიც აწი უნდა აშენდეს. ეს მომავლის გეგმებია, მაგრამ ნუთუ მშენებლობის დაწყებამდე (იგი, ვინ უწყის როდის დაიწყება) სკოლის ეზოს გაწმენდა და დროებით სამეცადინოდ გამოყენება არ შეიძლებოდა?

**ვ. ბუკინი.**



აი, ასე ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილი ქვა-ღორღით მოფენილ სპორტულ „მოედანზე“.

ფოტო ავტორისა.



# მასობრიობა უზრუნველყოფს წარმატებას



ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში ბევრი კარგი სპორტსმენი აღიზარდა. სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ, რომელსაც სათავეში მეორეკურსელი თ. ლორთქიფანიძე უდგას, უპირველეს ამოცანად მოსწავლეთა შორის სპორტის მასობრიობისთვის ბრძოლა დაისახა. მონდომებულმა მუშაობამ შედეგი გამოიღო. ტექნიკუმის 185 მოსწავლიდან 180 „სპარტაკის“ წევრია. სასწავლებელში შექმნილია ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობის სექციები, რომელთაც, როგორც წესი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ჩოგბურთელებთან მუშაობს თ. ჩანკვეტაძე, კალათბურთელებთან — დ. კოსტავა, მოჭიდავეებთან — დ. ქინქლაძე.

მეორეკურსელი დ. ქინქლაძე მარტო სექციის ხელმძღვანელი როდია. იგი თავადაც ვარჯიშობს და ყოველდღიურად იმაღლებს ოსტატობას. დაუზარელ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. დ. ქინქლაძე ბათუმის, აჭარისა და „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს არაერთგზის ჩემპიონი და რესპუბლიკის პირველობის პრიზიორია. ახალგაზრდა ათლეტს კლასიკურ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. იგი წარმატებით გამოდის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სარბიელზეც და წლეულს ამ სახეობაშიც მიიღო სპორტის ოსტატის წოდება. კარგი სპორტსმენი სწავლაშიც მოწინავეა.

ტექნიკუმელები არაერთხელ გამოსულან წარმატებით ლელობურთელთა, მოჭიდავეთა და მძლეოსან-კროსმენთა საქალაქო თუ საოლქო შეჯიბრებებში. „სპარტაკის“ ცენტრალურმა საბჭომ ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის ტექნიკუმის კოლექტივი მედლითა და I ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა.

— ეს აღიარება იოლად როდი მოვიპოვეთ, — გვითხრა ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ზ. შენგელიამ. — სპორტში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისთვის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ არაერთი ღონისძიება ჩაატარა. ტურისტულ ლაშქრობასა თუ ქალაქგარეთ ექსკურსიებს შეჯიბრებებისა და მშთ ნორმატივების ჩაბარებისთვისაც ვიყენებდით. ამჟამად ჩვენი უპირველესი ამოცანაა მაღალ დონეზე ჩავატაროთ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, შემდეგ კი წარმატებით გამოვიდეთ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა და „სპარტაკის“ აჭარის სპარტაკიადებში.

ტექნიკუმის სპორტსმენებმა ამთავითვე დაიწყეს მზადება მომავალი ასპარეზობებისთვის. ფრენბურთელები, კალათბურთელები და მძლეოსნები ბათუმის პიონერთა პარკის სპორტულ მოედნებზე ვარჯიშობენ, მოჭიდავენი კი დარბაზში იწვრთნებიან. ერთი სიტყვით, დროს არავინ აცდენს.

პრიზები, დიპლომები და სიგელები, რაც ტექნიკუმის სპორტსმენებს მოუპოვებიათ, ღაღადებენ, რომ სპორტულ მეცადინეობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმას მუდამ სასურველი ნაყოფი მოაქვს.

**ი. ბერძენიშვილი.**

ბათუმი.

# ცხინვალის ამბები

აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც 48 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ბუკულოვი (ზნაური), ტ. ქრისტესიაშვილი, ა. ბაბუციძე (ორივენი — ცხინვალი), მ. ხოსიევი (ლენინგორი), ბ. ჭელეხსაევი (ზნაური), მ. გასიევი, ლ. ჯალაბაძე (ორივენი — ცხინვალი), გ. თანდელოვი (ზნაური).

* * *

მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობაში 11 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა ი. ბესთაევი — 7,5 ქულა. II ადგილი დაიკავა დ. იაშვილმა (7). III-IV ადგილები გაიყვეს ვ. კოჩიევმა და ბ. ბრაჟნიკმა (6,5-6,5).

* * *

პედინსტიტუტის კალათბურთელთა პირველობაში ქალთა და ვაჟთა 4-4 გუნდი მონაწილეობდა. ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ნაკრები, ხოლო ქალებში — ბიოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი.

**ვ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

# ეგება ასე ჯობს?

გორის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, მახარაძის, ხაშურისა და გორის გუნდები.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: დ. ჩახმახიშვილმა (თბილისი), გ. მეგრელიშვილმა (მახარაძე), რ. მაილიანმა (თბილისი), მ. ჭეიშვილმა (ქუთაისი), რ. გვარამაძემ (თბილისი), ე. დოლონაძემ (ქუთაისი), გ. ბართაიამ, გ. გარუჩავამ (ორივენი — თბილისი), ი. სუთიძემ, ვ. აბზიანიძემ (ორივენი — ქუთაისი).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს თბილისელმა ჭაბუკებმა, II ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები, ხოლო III — სოხუმელები.

სამართლიან საყვედურს იმსახურებენ ჭიათურის, ცხინვალისა და რუსთავის სპორტის მესვეურნი, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს შეჯიბრებაზე გუნდების გამოგზავნა. ტურნირის მონაწილეებს მოუმზადებელი დახვდათ დარბაზი (არ იყო გათბობა) და მაინც, ჩემპიონატმა, რომელიც ჩატარდა მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე (მთავარი მსაჯი გ. ჯულუხიძე), ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა გამოავლინა.

შედგა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. იგი მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც მარტის დამლევს ლენინგრადში გაიმართება. თავისთავად ცხადია, რომ ამ გუნდში მოხვდა ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაღები, მაგრამ იბადება კითხვა: რატომ უნდა დაკომპლექტდეს იგი მხოლოდ ტურნირის დამთავრების შემდეგ და არ შეიძლება გვყავდეს, ასე ვთქვათ, მუდმივი ნაკრები, რომელიც წვრთნას სახელდახელო შეკრებაზე კი არ გაივლის, არამედ გამოცდილ მწვრთნელთა უშუალო ხელმძღვანელობით მთელი წლის მანძილზე? ასეთი სიახლე უფრო სასარგებლო ხომ არ იქნება?

**ტ. ფილიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე ეტაპი „ზედმეტია“



მოტოკროსში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის · რუსთავის ეტაპზე გამარჯვებით რიგელმა სპორტის ოსტატმა ზ. კალკისმა ოქროს მედლისკენ მიმავალი გზის ნახევარი მოილია. მაგრამ დარჩენილი ნახევარი უფრო რთული იყო, ვინაიდან 500 კბ სმ-ის მანქანებით „ოქროს“ კიდევ 32 კაცი (მათ შორის, 23 ოსტატი) ეძებდა. ცხადია, ისინი ისე იოლად აღარ დაუთმობდნენ ლატვიელს, რომელსაც დარჩენილი ორი ეტაპიდან ერთ-ერთის მოგებაც ყოფნიდა. და აი, II ეტაპიც. გუშინწინ დელისში ტურნირის პირველსავე ცდაზე მოულოდნელად დაწინაურდა მოსკოველი სპორტის ოსტატი ა. სიმაკოვი. მას „თვალში ჩაუსხდნენ“ კიეველი ი. კაზაკოვი, ლენინგრადელი ს. კადუშკინი და სერპუხოველი ი. მატვეევი. შეჯიბრების ლიდერი კალკისი კი მხოლოდ V მიდიოდა.

სიმაკოვმა „ერთმმართველის კვერთხი“ დიდხანს ვერ შეინარჩუნა: მოტოციკლის გაჯიუტებამ დაამხო მისი ლიდერობა. მესამე წრეზე წინ გაიჭრა მატვეევი. რიგელი ბევრჯერ შეეცადა „გაძრომას“, მაგრამ ლიდერთა არიერგარდში მყოფნი — კადუშკინი და კაზაკოვი კანონის ფარგლებში უკეტავდნენ მეტოქეს გზას. ამრიგად, I ცდა მოიგო მატვეევმა და კალკისის ბედი სასწორზე დაიდო.

II ცდაზე ლატვიელი დაწინაურდა. ახლა მას მარტო გამარჯვება როდი ყოფნიდა: ჰაერივით სჭირდებოდა მატვეევის ჩავარდნა. მაგრამ აბეზარი მეტოქე კალკისს კვალიდან არ შორდებოდა. მესამე წრეზე კი იგი რიგელის... წინ აღმოჩნდა. თურმე მატვეევს ერთ-ერთ ხევში მანქანა გაუფუჭდა და რიგელს მთელი ერთი წრით ჩამორჩა. ახლა მატვეევისთვის, რომელმაც რუსთავის ეტაპზე II ადგილი დაიკავა და თბილისში თითქმის აღარაფერი უკლდა მის გამარჯვებას, ყოველივე ამაო გამოდგა. ცდა და მასთან ერთად თბილისის ეტაპი მოიგო კალკისმა, რითაც გაინაღდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

რაც შეეხება 250 კბ სმ-ის მოტოციკლებით რბოლას, აქ სენსაციებს ადგილი არ ჰქონია. ბრძოლა მიმდინარეობდა არა ოქროს მედლისთვის, არამედ უფრო ნაკლებად კეთილშობილი ლითონებისთვის, ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. არბეკოვმა (მოსკოვი), რომელმაც რუსთავში ორივე ცდა მოიგო, დელისშიც დაადასტურა თავისი სრული უპირატესობა.

დელისში არბეკოვი ორივე ცდის პირველივე წრეზე დაწინაურდა. იგი იბრძოდა არა მარტო წამყვანი პოზიციების შენარჩუნებისთვის, არამედ მაქსიმალური სისწრაფისათვისაც. მან მხოლოდ I ცდისას წაიფორხილა—მე-10 კილომეტრზე დიდი სისწრაფით შევიდა მოსახვევში, ინერციამ მანქანა განზე გაისროლა და... ძრავა ჩაქრა. ამით ისარგებლა უახლოესმა მეტოქემ, კიეველმა ოსტატობის კანდიდატმა ლ. შინკარენკომ და ლიდერს გაუსწრო, მაგრამ ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა: არბეკოვმა დანაკარგი სწრაფად აინაზღაურა.

თბილისის ეტაპზე ადგილები ასე განაწილდა: 250 კბ სმ-ის მოტოციკლებით რბოლაში: 1. ვ. არბეკოვი, 2. ი. გრიგორიევი (კიევი), 3. გ. დრაუგსი (რიგა). 500 კბ სმ-ში: 1. ზ. კალკისი, 2. ი. კაზაკოვი, 3. ა. ვორონინი.

როგორც ვხედავთ, ორივე კლასში ჩემპიონები უკვე გამოვლინდნენ (არბეკოვი და კალკისი). რაც შეეხება II და III საპრიზო ადგილებს, მათ საკითხს გადაწყვეტს სოხუმისა და კიშინიოვის ეტაპები.

ახლა ორიოდე სიტყვა მასპინძლებზე. სწორედ მათ მაგალითზე დადასტურდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასპარეზობისთვის მოტოციკლის მომზადებას. მხოლოდ ამ ფაქტორების უგულებელყოფით უნდა აიხსნას ახალგაზრდა თბილისელი სპორტსმენის ა. კლდიაშვილის ჩამორჩენა I ცდაზე და რბოლიდან გამოთიშვა II ცდისას. ამავე მიზეზით ჩამორჩნენ ა. ვავიანი, ვ. ტკაჩენკო და სხვ. საქართველოს ვერცერთმა სპორტსმენმა ვერ გააუმჯობესა რუსთავში ნაჩვენები შედეგები.

საკავშირო პირველობის მონაწილენი გაემგზავრნენ სოხუმს, სადაც 27 მარტს გაიმართება III ეტაპი. აქ არ იქნებიან მხოლოდ არბეკოვი, შინკარენკო, ა. იაკოვლევი (კოვროვი) და დრაუგსი. ისინი კურსს აიღებენ ესპანეთისკენ, სადაც ტარდება მსოფლიო ჩემპიონატის I ეტაპის შეჯიბრებები.

ო. ბელაშვილი.

სურათზე: ვ. არბეკოვი აღმართის დაძლევის დროს.

ფოტო ავტორისა.

# მეორე ეშელონი ემზადება

ფეხბურთი

იმ მიზნით, რომ საქართველოს „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები უკეთ მოემზადონ წინამდებარე სეზონისთვის, გადაწყდა მათი ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ქართული ფეხბურთის გამოჩენილი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის თასზე ჩატარდეს არა წლის ბოლოს (როგორც ეს ადრე ხდებოდა), არამედ ადრე გაზაფხულზე. ტურნირში მონაწილე კოლექტივების მწვრთნელებს ამით საშუალება მიეცემათ უკეთ შეამოწმონ ფეხბურთელთა მომზადების დონე და სათანადოდ დააკომპლექტონ გუნდები.

ტურნირი ვეტერანის პრიზზე მოეწყობა თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. მასში მონაწილეობას მიიღებს „ბ“ კლასის ყველა 7 გუნდი. მონაწილენი დაიყვნენ ორ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში ითამაშებენ: „კოლხიდა“ (ფოთი), „დილა“ (გორი), „მეშახტე“ (ტყიბული), II ქვეჯგუფში: „დინამო“ (სოხუმი), „ალაზანი“ (გურჯაანი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „ოდიში“ (ზუგდიდი).

უკვე დამტკიცდა გათამაშების კალენდარი. 19 მარტს ერთმანეთს ხვდებიან „კოლხიდა“ — „დილა“, 20 მარტს—„დინამო“—„ალაზანი“, „ოდიში“—„მეტალურგი“, 21 მარტს — „კოლხიდა“—„მეშახტე“, 22 მარტს— — „დინამო“ — „მეტალურგი“, „ალაზანი“ — „ოდიში“, 23 მარტს — „დილა“ — „მეშახტე“, 24 მარტს—„ოდიში“—„დინამო“, „მეტალურგი“— „ალაზანი“.

26-27 მარტს გაიმართება გადამწყვეტი მატჩები საბოლოო ადგილების გამოსავლენად ქვეჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გასულ გუნდებს შორის. თამაშების დასაწყისი გამოცხადდება ცალკე.

# მხოლოდ 5 შედეგი

თბილისის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში VIII ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. შედეგი აღინიშნა მხოლოდ ხუთ პარტიაში: ხუგაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კობაიძესთან და ქულა მიიღო მანველოვასგან. გედენიძემ მოუგო კუპრაშვილს და ყაიმზე შეუთანხმდა პილცერს. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ჩიქობავა — მანველოვას შეხვედრა.

2 პარტია (გოგიავა — სარაიდაროვა და ბელოზიოროვა — სარაიდაროვა) კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

# ჩემპიონატის წინ

თბილისის ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა გუნდების ტურნირი, რომელშიც გამოდიან: სტუმრები — ლენინგრადისა და ვოლგოგრადის „სპარტაკი“, მასპინძლები— თბილისის „დინამოს“ ოსტატთა და I გუნდები. ეს ერთგვარი საწვრთნელი შეჯიბრებაა საკავშირო პირველობის წინ. წლევანდელი ჩემპიონატი 23 მარტს სტარტს აიღებს სარატოვსა და ლენინგრადში. სარატოვში გამოვლენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი), თბილისის „დინამო“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო), კიევისა და ლვოვის დინამოელები და მოსკოვის ოლქის „ტრუდი“. ლენინგრადში ითამაშებენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და „ბალტიკა“, მოსკოვის გუნდები — „დინამო“, უნივერსიტეტი, „ტორპედო“ და „შრომითი რეზერვები“.

## გუშინ...

თბილისის ტურნირის პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და ვოლგოგრადის „სპარტაკი“. მატჩი მოიგეს ვოლგოგრადელებმა — 3:2. შემდეგ ითამაშეს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა და I გუნდებმა. გაიმარჯვეს ოსტატებმა — 8:1.

# „ელმაველმა“ თავი ისახელა

გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა რეგბისტთა საქალაქო ტურნირის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ სპორტკლუბ „ელმავლისა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები. „ელმავლის“ ახალგაზრდული კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მთელი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია — 18:3 (6:3).

მეორე მატჩი არ შედგა, ვინაიდან თბილისის ნაკრებს ერევანში ჰქონდა საქალაქთაშორისო მატჩი.

ვ. მებაღიშვილი.



# „კალათბურთელი“ დელფინები

ლოს-ანჟელოსის (აშშ) ოკეანარიუმში არიან და იწვრთნებიან პატარა ვეშაპები, ვეშაპ-ზვიგენები, დელფინები. ოკეანარიუმის მუშაკები, რომლებიც ამ ცხოველებზე დაკვირვებას აწარმოებენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წვრთნას ყველაზე უკეთ ეგუებიან დელფინები. სწორედ ამიტომ ოკეანეთა ეს ბინადარნი აქ ჩატარებული ტრიუკების მონაწილეებად გვევლინებიან. ეს სანახაობანი, რასაკვირველია, მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავს. დამტკიცდა, რომ დელფინები სიამოვნებით თამაშობენ ბურთს. მწვრთნელებმა მათ ასწავლეს ბურთის კარში დარტყმა. პირველ ხანებში დელფინები ურევდნენ „თავიანთ“ და „მეტოქის“ კარს. შემდეგ ისინი მიეჩვივნენ ბურთისთვის ერთმანეთთან ბრძოლას და ურტყამდნენ მხოლოდ ერთ განსაზღვრულ კარში. ასე გახდნენ დელფინები წყალბურთის „მოთამაშენი“.

ამჟამად მწვრთნელები მუშაობენ სხვა ატრაქციონის შესაქმნელად. წყალბურთის კარი შეცვალა კალათბურთის კალათებმა. კალათში ბურთი რომ ჩააგდონ, დელფინები ძალიან მაღლა უნდა ამოხტნენ წყლიდან (სურათი მარცხნივ).

დელფინებს კალათბურთს ასწავლიან ვეშაპ-ზვიგენებთან ერთად. ეს უკანასკნელნი წინათ არ იწვრთნებოდნენ, მაგრამ ამჟამად ზოგიერთმა ისწავლა წყლიდან ამოხტომა და თავით ბურთის დარტყმა, რისთვისაც სატკბარუნოს იღებს (სურათი მარჯვნივ).





# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ფეხბურთი

## 27 ტური — 39 ქულა

ესპანეთის ჩემპიონატის გუშინწინ გამართულ XXVII ტურში მადრიდის „რეალმა" მიიღო ბილბაოს „ატლეტიკო". 42-ე წუთზე ბასკების მარჯვენა ნახევარმცველმა ზორიკეტამ საჯარიმო მოედანზე მოცელა მადრიდელი სანჩისი. პენალტი ზუსტად გაიტანა „რეალის" კაპიტანმა ჰენტომ—1:0. მეორე ნახევარში „რეალის" ფორვარდებმა დიდხანს ვერ შეძლეს სახიფათო მომენტის შექმნა მეტოქის კართან. იგრძნობოდა ამანსიოს არყოფნაც (იგი დაშავდა ოთხშაბათს, „ანდერლეხტთან" შეხვედრაში). მაგრამ მადრიდელთა უპირატესობამ შედეგი მაინც გამოიღო: 78-ე წუთზე მათმა ცენტრფორვარდმა გროსომ გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია „ბარსელონას" გამარჯვება „მალაგასთან" — 4:0.

27 ტურის შემდეგ I ადგილზეა მადრიდის „რეალი" — 39 ქულა. მას 2 ქულით ჩამორჩება მადრიდის „ატლეტიკო". „ბარსელონას" 36 ქულა აქვს, ხოლო „რეალ-სარაგოსას" — 31.

(საქ. ინფ.).

• • •

სურათზე: მატჩის მომენტი მადრიდის გუნდებს — „რეალსა" და „ატლეტიკოს" შორის (3:1), რომლის შედეგად „რეალი" გათამაშების ლიდერი გახდა. „რეალის" ცენტრფორვარდს ამანსიოს თავით გააქვს მესამე გოლი მეტოქის კარში. „ატლეტიკოს" სტოპერმა გრიფამ წამით დააგვიანა...

ფოტო ჟურნალ „მირუარ დიუ ფუტბოლიდან" (პარიზი).

## მულდერი — 1,5 ბურთი თითო თამაშში

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ბელგიის კლუბების მეცენატები უცხოეთში ყიდულობდნენ მოთამაშეებს თავიანთი კლუბების გასაძლიერებლად. ასეთი გზით მოხვდნენ ბელგიის უძლიერეს გუნდებში ცნობილი ფეხბურთელები — ჰოლანდიელი ბერგოლცი, იუგოსლაველი ნაუმოვიჩი, ფრანგი შარიანი. ბელგიის ჩემპიონმა „ანდერლეხტმა" ჰოლანდიაში შეიძინა უცნობი ახალგაზრდა ფორვარდი მულდერი, რომელიც მოყვარულთა ერთ-ერთ მეორეხარისხოვან გუნდში თამაშობდა. იგი „ანდერლეხტის" ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ IX ტურის მატჩში მოხვდა, XVIII ტურის შემდეგ კი ამ ქვეყნის საუკეთესო სნაიპერთა სიაში მეორე იყო! იგი ჩამორჩებოდა მხოლოდ თავის თანაკლუბელს, სახელმოხვეჭილ პ. ვან ჰიმსტს. ამ უკანასკნელმა 18 შეხვედრაში 17 გოლი გაიტანა, ხოლო მულდერმა—15 გოლი—10 შეხვედრაში. ჩემპიონატის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩში „ანდერლეხტი" — „სენ-ტრონი" (6:0) მულდერმა 5 გოლი გაიტანა.

„საინტერესო იქნება, ალბათ, ჰოლანდიის ნაკრებში რომ ვითამაშო ჩემი ახლანდელი პარტნიორების წინააღმდეგ", — ამბობს მულდერი. მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ როცა ჰოლანდიის ნაკრების ახალ მწვრთნელს გ. კესლერს ურჩიეს მულდერის გუნდში აყვანა, მან განაცხადა: „მულდერი? ასეთს არ ვიცნობ!".

## ლისაბონში მოგება, ლონდონში კი...

შაბათს ლონდონში ადგილობრივი „ჩელსი" შეხვდა „მანჩესტერ იუნაიტედს". ლისაბონის „ბენფიკასთან" შესანიშნავი გამარჯვების (5:1) შემდეგ „მანჩესტერმა" დამარცხების სიმწარე იგემა. მატჩის დაწყებიდან 30 წამსაც არ გაუვლია და „ჩელსის" ცენტრფორვარდმა ტამბლინგმა მეტოქის კარში პირველი გოლი გაიტანა, შემდეგ კი გრეჰემმა უძლიერესი დარტყმით ბურთი მეორეჯერ გაგზავნა მანჩესტერელთა კარში — 2:0. ამის შემდეგ მანჩესტერელებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ „ჩელსის" დაცვა გაუვალი აღმოჩნდა.

არანაკლებ შეუპოვარი იყო შეხვედრა ლივერპულში, სადაც გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა" მიიღო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური". მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც ლივერპულელთა ნახევარმცველის სტივენსონის დარტყმის შემდეგ მოხვდა ჯერ ლონდონელ მაკკეის, შემდეგ მის კოლეგას კლეიტონს და ამგვარი რეკოშეტის შემდეგ აღმოჩნდა „ტოტენჰემის" კარში — 1:0.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „არსენალი" — „ევერტონი" 0:1, „ასტონ ვილა" — „ფულჰემი" 2:5, „ბერნლი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 1:0, „ლიდს იუნაიტედი" — „ლესტერ-სიტი" 3:2, „ნორთჰემპტონი" — „ნოტინჰემ ფორესტი" 3:3, „შეფილდ უენსდეი" — „შეფილდ იუნაიტედი" 2:2, „სტოკ-სიტი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 1:1, „სანდერლენდი" — „ბლეკპული" 2:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ბლეკბერნ როვერზი" 4:1.

ლიდერთა ოთხეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 33 | 68:28 | 49 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 30 | 58:27 | 40 |
| „ბერნლი" | 32 | 63:50 | 40 |
| „მანჩესტერ იუნაიტ." | 31 | 61:42 | 39 |

(საქ. ინფ.).

## „სელტიკი" კვლავ დაწინაურდა

შოტლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში კვლავინდებურად გაგრძელდა ბრძოლა ლიდერობისთვის გლაზგოს გუნდებს შორის. „სელტიკმა" საკუთარ მინდორზე დაამარცხა „სენტ-ჯონსტონი" — 3:2. „გლაზგო რეინჯერსიც" შინ თამაშობდა, მაგრამ მისმა მეტოქემ — ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოტიენმა" მასპინძელს 1 ქულა წაართვა — 1:1.

დანარჩენი შეხვედრების შედეგებია: „აბერდინი" — „პარტიკი" 2:1, „დანდი იუნაიტედი"—„ფოლკერკი" 2:3, „დანფერმლაინ ატლეტიკი" — „ჰამილტონ აკადემიკლსი" 1:0, „ჰიბერნიენი" — „დანდი" 1:1, „ნადერუელი" — „კილმარნოკი" 0:3, „სტერლინგ ალბიონი" — „სენტ-მირენი" 0:1.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 25 | 82:26 | 41 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 25 | 73:24 | 40 |
| „კილმარნოკი" | 26 | 64:38 | 36 |
| „დანფერმლ. ატლეტ." | 24 | 69:33 | 35 |
| „ჰართ ოვ მიდლოტ". | 24 | 43:33 | 31 |

(საქ. ინფ.).

# პოლონეთის საჭადრაკო მაჯისცემა

### მიხეილ ტალის ინტერვიუ

**მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა ერთი კვირა დაჰყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც იგი პოლონეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ და ვარშავის ტელევიზიამ მიიწვია სტუმრად.**

**ექს-ჩემპიონი პოლონეთში პირველად იყო. იგი ეწვია მთელ რიგ ქალაქებს, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე მატჩსა და ელვისებურ ტურნირში, გაეცნო ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. კორესპონდენტმა ვ. ვედინმა დიდოსტატს სთხოვა ვარშავიდან გამგზავრების წინ თავისი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვედი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ტურისტი, — თქვა მ. ტალმა, — ამიტომ, პოლონელ კოლეგებთან შეხვედრებზე ინტერვიუს დასასრულს ვილაპარაკებ.

ადრე საზღვარგარეთ დავდიოდი, უმთავრესად, როგორც საჭადრაკო ბატალიების მონაწილე და შინდაბრუნებულს ამა თუ იმ ქვეყანაზე მხოლოდ სხვადასხვა ცნობარის, გზამკვლევისა და ჟურნალ-გაზეთების სტატიების დახმარებით შემეძლო ლაპარაკი. ახლა ცნობარი არ დამჭირდება. სტუმართმოყვარე, თავაზიანმა და მზრუნველმა მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ რაც შეიძლება მეტი მენახა.

მე გავეცანი ქვეყნის მდიდარ ისტორიას, ვიყავი ძველ დედაქალაქ კრაკოვში, ვნახე თანამედროვე ვროცლავი და პოლონეთის გეტოს წმიდათა-წმიდა ნანგრევები. ეს, რა თქმა უნდა, ზოგადად, თორემ ამ ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი მე ვიგრძენი ყველა ქალაქში, სადაც კი ჩასვლა მომიხდა. ერთდროულად ისტორიაც არის და პოლონური ხელოვნების დღევანდელი დღეც, თუნდაც, შესანიშნავი ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრი, რომელიც ახლახანს გაიხსნა ვარშავაში. ამ თეატრს თამამად შეიძლება მისცე ორასი წელიცა და ორი თვეც.

მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე, უდავოდ, ხალხმა მოახდინა. ვარშავაში ყველა მუდამ ჩქარობს. მე ვფიქრობ, ამ ქალაქის მაჯისცემა წუთში ას ოცზე ნაკლები არ არის. დინჯი, თანაბარი და ძლიერია კრაკოვის მაჯისცემა. არის რაღაც თავისებური ვროცლაველთა ხასიათში. ამ ქალაქებში სულ სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს და მაინც ძალზე გაგონებენ ერთიმეორეს თავიანთი კეთილმოსურნეობით, სტუმართმოყვარეობითა და გულითადობით.

ვროცლავის საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელმა ი. არლამოვსკიმ შეხვედრისას მთხოვა მათთან თავი შინაურულად მეგრძნო. და მართლაც, პოლონეთში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც შინ, ძალიან კარგ მეგობრებს შორის.

მაგრამ მე ხომ მხოლოდ ტურისტი არა ვარ, ცოტა ჭადრაკიც მიყვარს და ამიტომ პოლონელ კოლეგებთან შეხვედრებიც ძალიან მაინტერესებდა. რუსეთისა და პოლონეთის მოჭადრაკეებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ დიდოსტატ რუბინშტეინს, ლოძელ ოსტატს სალვიეს და სამამულო ომის წლებში დაღუპულ პშეპიურკას. უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, ცნობილი პოლონელი დიდოსტატი ნაიდორფი, რომელიც ამჟამად არგენტინაში ცხოვრობს.

დღევანდელ პოლონეთში ასეთივე პოპულარული და ძლიერი მოჭადრაკეების დასახელება გაჭირდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთი კვირის მანძილზე მეტად ნასიამოვნები და გაოცებული დავრჩი პოლონელთა დიდი სიყვარულით საჭადრაკო ხელოვნებისადმი. დარწმუნებული ვარ, ჭადრაკის მოყვარულთა მასობრიობა, ენთუზიაზმი და შეუპოვრობა მალე მნიშვნელოვან ნაყოფს გამოიღებს.

შეიძლება ითქვას, რომ მე პოლონური საჭადრაკო სკოლის ხვალინდელ დღეს შევხვდი. იუნიორებთან მატჩში საინტერესო იყო პარტია ლევისთან, უდავოდ ნიჭიერ მოჭადრაკესთან. ჩემმა ახალგაზრდა პარტნიორმა სავსებით მოსაგებ მდგომარეობას მიაღწია, მაგრამ შემდეგ დასანანი წინდაუხედაობა გამოიჩინა და საშუალება მომცა პარტია ყაიმით დამემთავრებინა.

ეს შეხვედრა ინტერვიზიით გადაიცა და ჩემი მეტოქეები რომ ტელეგადაცემის 40 წუთით არ ყოფილიყვნენ შეზღუდული, არ ვიცი, მატჩი როგორ დამთავრდებოდა (ათ დაფაზე ვთამაშობდი). ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ჩემს პარტნიორებს შორის იყო რამდენიმე მოჭადრაკე, რომელთაც მალე ვიხილავთ საერთაშორისო ტურნირებზე.

კითხვაზე, რა შედეგებით დამთავრდა მისი შეხვედრები ვარშაველ, კრაკოველ და ვროცლაველ ოსტატებთან, მ. ტალმა უპასუხა:

— იუნიორებთან მატჩის გარდა, 8 პარტია ვითამაშე ვარშავის ნაკრებთან. 5 მოვიგე, 3 ყაიმით დავამთავრე. კრაკოვში 8 პარტიიდან 2 წავაგე, 1 ყაიმით დავამთავრე, დანარჩენი მოვიგე. ვროცლავში ერთდროულად 25 დაფაზე ვუტევდი და ვიცავდი თავს. შედეგი: 17 გამარჯვება, 2 წაგება, 6 ყაიმი.

— რას უსურვებდით პოლონელ მოჭადრაკეებს?

— დიდ წარმატებას და სიხარულს. ამისთვის კი საჭიროა, რომ მათი საჭადრაკო მაჯისცემა ტოლს არ უდებდეს თვით ვარშავის მაჯისცემას.



როგორც ცნობილია, რიგაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივი ტტტ-სა და ჩეხოსლოვაკიის „სლოვან ორბისის" კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 62:39.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიელი კალათბურთელების ფარის ქვეშ.

ტელეფოტო რ. ნიკოლაევისა (საქდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტული ცხოვრება**

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **15-21 მარტი. თბილისის ქალთა ჩემპიონატის ფინალი.** დასაწყისი 17 ს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). **15 მარტი-10 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი.** დასაწყისი 17 ს.

**წყალბურთი.** ზამთრის რესპუბლიკური აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). ამხანაგური მატჩები „ა" კლასის გუნდებს შორის. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: **„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" I (თბილისი), თბილისის „დინამო" (ოსტატები) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი).** დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**მაგიდის ჩოგბურთი.** სპორტკლუბ „სინათლის" დარბაზი (ტელმანის ქ. № 8). **15-18 მარტი. თბილისის პირადი პირველობა იუნიორთა შორის.** დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04883